№ 158, Ივლისს 25, ხუთშაბათი. 1866—1885 Ივლისს 25, ხუთშაბათი. № 158.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლებელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

გამოვიდა 1-ლი №-რი საყოველ-კვირაო სალიტერატურო და მხატვრობითი გაზეთის

თეატრი-სა.

ცალკე ნომრები ისყიდება: თბილისში:—გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ფასი ყველგან სამი შაური.

ეფროსინე იაკობის ასული

ჭიჭინაძისა

რომელსაც სწავლა შეუსრულებია სანკტ-პეტერბურგის უმაღლესს საქალებო სასწავლებელში, ამ წლის პირველის სექტემბრიდამ ხსნის ქალაქს ქუთაისში მოსამზადებელს სასწავლებელს ორის წლის კურსით, რომელიც ამზადებს ქალებს საქალებო გიმნაზიის პირველის კლასისათვის, ვაჟებს სავაჟო გიმნაზიის მოსამზადებელის კლასის უფროსის განყოფილებისთვის.

სასწავლებელში მიიღებიან ბინიდამ მოსიარულე ყმაწვილები. პანსიონი არ იქნება, და სწავლისათვის გადახდებათ სასწავლო წელიწადში ორმოცდა-ხუთი მანათი (45), რომელიც წინ-და-წინ უნდა შემოიტანონ მესამედობით. ვისაც ჰსურს ყმაწვილების მიბარება ამ სასწავლებელში, წერილებით უნდა განუცხადოს თავისი სურვილი სასწავლებლის დამაარსებელს ივლისის 22-დამ აგვისტოს 25-მდის.

ადრესი: ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა სახლი ნიკოლაძისა. (6—2)

* * *

„მიყვარხარ!“—სატრფო მეუბნებოდა,
ჩემს მხარზედ ჰქონდა თავი დახრილი,
ფუნჩულ ხელებით ყელს მეხვეოდა...
მე მომდიოდა მხოლოდ ღიმილი.

„უშენოთ ერთს დღეს“, ის იძახოდა,
„ვერ გავსძლებ-მიჯობს მაშინ სიკვდილი..“
მე მომაგონდა ჩვენი ბუნება
და მომივიდა მხოლოდ ღიმილი.

ჩვენ ვსეირნობდით, ყველა იძახდა:
„რა ლამაზია, რა მოყვანილი“—
ჩემს სატრფოზედა; ის წითლდებოდა...
მე მომდიოდა მხოლოდ ღიმილი.

ერთს მეგობარსა ხშირად ვხედავდი,
სატრფოს დასდევდა ვითა აჩრდილი..
მაგრამ იგი მზე თავს არიდებდა...
მე მომდიოდა მხოლოდ ღიმილი.

განვლო დრობამ, სატრფოს, მეგობარს
ერთად მოვასწარ: ვიყავ გაცვლილი..
ორნივე შეჰკრთენ. მე ავკანკალდი...
და მომივიდა მხოლოდ ღიმილი.

მ. ჯორჯაძე.

ივლისის 18-ს ბაქო.

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ სოფ. ქავთისხევიდგან გვწერენ: «ამას წინად რამდენიმე აქაური აზნაური და გლეხი შუაღამისას შეუხდენ გლეხს იოსებ ციციკაშვილს და მისი დის ძალით მოტაცება უნდოდათ; და ამ ამბავმა მაზრის უფროსამდეც მიაღწიაო...

⊖⊖⊖ ამ დღეებში წმ. ნინოს სასწავლებელს თბილისში ორი შეწირულობა მიუვიდა: ერთი—500 მანათი ნეჩაევ-მალცოვისაგან და მეორე—423 მან. და 50 კ. ღირინგისაგან გამართული წარმოდგენიდამ.

⊖⊖⊖ აფხაზეთიდამ გვწერენ: «ჯერ ჯერობით ამ წელს აქ მშვიდობიანობაა. არც ციება არის და არც სხვა ავადმყოფობა, მხოლოდ სიცხეებმა შეაწუხა ხალხი აქამდის; ახლა კი, ივლისის 17, იმისთანა წვიმები იყო, რომ ზარალი თუ მოგვცა თორემ სარგებლობა არა. ყანები წარეცხა, ხეხილები ქარმა დაამტვრია და აგრეთვე ერთი უბედურება მოახდინა ზღვაზედ: ოჩამჩირიდამ წამოსული სახელმწიფო ფილუკით ოჩამჩირის ოლქის უფროსი დოქტორი ფაბიან კუზინოვიჩი დაიხრჩო ზღვაში თავის მხლებელი თათრითურთ. თურმე ოჩამჩირიდან ივლისის 16 საღამოს 9 საათზედ ფილუგით სოხუმში წამოსულიყო და ივლისის 17-ს, საათის 6-ზედ, ცუდს ამინდს მოესწრო გზაში იქ, სადაც კოდორის მდინარე ზღვაში ჩადის. ფილუგა დამტვრეულიყო, შიგ მჯდომნი ზღვაში ჩაცვინულიყვნენ. მატროსებს თავისთვის უშველიათ ცურვით და ზღვისპირის ყარაულების დახმარებით. კუზინოვიჩი ძალიან კაი ხასიათის კაცი იყო და აფხაზებიც ძალიან მადლიერნი ჰყავდა. საბრალოს სამი თვის შერთული ცოლი ქვრივად დარჩა.

⊖⊖⊖ Იქიდამვე გვწერენ: «აქ მოვიდა და დაესახლა ბ. კადიანი, აბრეშუმის ხელობის მცოდნე. Იგი ჰფიქრობს ამ საქმეს საფუძვლიანად შეუდგეს და შეგირდებიც აიყვანოს თავის ხელობაში გასაწრთვნელად.»

⊖⊖⊖ ფოთიდამა გვწერენ: ივლისის 21-ს შემდეგი ამბავი მოხდა ფოთში: კვირა-დღეს, როდესაც სავაჭრო მაღაზიები სრულიად დაკეტილები იყვნენ, ბ. ნიკო ჩიტაიას მაღაზია გასტეხეს და ხუთასი მანათის ვერცხლის და ოქროს ნივთები წაიღეს. Დამნაშავე-კი უცებ იპოვა ჩვენმა პოლიციამ, მხოლოდ ჯერ ნივთები არა სჩანს; როგორც ამბობენ, დამნაშავე გამოტეხილა და ამბობს ვითომც ჩიტაიას შვილსაც მიეღოს მონაწილეობა და იმას ჰქონოდეს ნივთები, მაგრამ უკანასკნელი დიდ უარზედ დგას.

⊖⊖⊖ „კავკაზს“ გაუგონია, რომ ათი თბილისელი მედუქნე პირობით შეკრულან და თითოს ათ-ათი თუმანი გამოუღია, რომ სოფლიდამ ჩამოტანილი საქონელი პირ-და-პირ სოფლელებთაგან ქალაქს გარედგე იყიდონ. ეს „საქმე“ უეჭველია მედუქნეებს ხელს მისცემს, რადგან სოფლელებმა მხოლოდ ვერის ხიდის მოედანზედ უნდა ჰყიდონ თავიანთ ნაწარმოები და ამ მოედანზედ წასვლა თბილისელებს ძალიან უზარებათ. მედუქნეებს კი ხელს მისცემთ, მაგრამ ქალაქის

## ჯაშუში

მოთხრობა.

### I

Ერთად-ერთი მეგობარი მყვანდა. სახელად ერქვა თეოფილე. მე და თეოფილე სასწავლებელში დავუამხანაგდით ერთმანეთს. შემდეგ გარემოებამ დაგვაშორა, სხვა-და-სხვა ადგილს მოგვიხდა ცხოვრება და სამსახური.

მე, უნდა გაგიტყდეთ, ცხოვრებაში ბედი მღალატობდა. თუმცა მუყაითად ვშრომობდი, ყოველსავე სამსახურს და საქმეს სინიდისიანად ვასრულებდი, მაინც ჩემი მდგომარეობა ვერ გავაუმჯობესე; კარგი ალაგი ვერ ვიშოვნე და მუდამ სიღარიბეში ვიყავი. სულ სხვა ნაირად დატრიალდა ბედის ჩარხი ჩემი მეგობრისა: იმან მოკლე ხანში იშოვნა კარგი ალაგი სამსახურში, შეირთო ცოლად მშვენიერი ქალი და განცხრომაში ცურავდა.

მე არა მშურდა თეოფილეს ბედნიერება; შურს ჩემს გულში ადგილი არა ჰქონდა. მე მხოლოდ მუდამ იმის ნატვრაში ვიყავი, რომ თვალით მენახა ჩემი მეგობარი და მისი ფუფუნებით ცხოვრება. მაგრამ სურვილი არ ასრულდა: ყურებმა ისმინა მეგობრის ბედნიერება და თვალებმა-კი მისი უბედურება ნახეს.

Ერთს საღამოს, როცა მარტო ვიჯექი ჩემს ოთახში და ვაპირობდი მეგობართან წერილის მიწერას, უცბად კარები გაიღო და ჩემს წინ იდგა თეოფილე. მეგობრები გადავეხვიეთ ერთმანეთს. თეოფილეს სახე მეტის-მეტად ნაღვლიანი ჰქონდა და ფერიც დაკარგული. მოწყვეტილი დაეცა სავარძელში და თავი ჩაჰკიდა.

— რა დაგემართა, კაცო, ასე დაიღალე? Დავეკითხე მე.

— არა, ძმაო! და ამ სიტყვებზე ხელი გაიქნია.

— მაშ რა არის! მადლობა Ღმერთს შენი საქმე კარგად წავიდა: კარგი ცოლი, კარგი ალაგი, კარგი ცხოვრება; სხვა რაღა გინდა?

— საქმეც ეგ არის—არც კარგი ცოლი და არც კარგი ალაგი.

— როგორ? Განცვიფრებით დავეკითხე მეგობარს.

— Ერთს დღეს დავკარგე ცოლიც, ალაგიც და ყოველივე ბედნიერება.

— თუ ღმერთი გიყვარს, მიამბე: როგორ? რა ნაირად?

— გეტყვი, გეტყვი; პატარა მომითმინე.

Შემდგომ მიამბო ჩემმა მეგობარმა თავისი თავ-გადასავალი: რა საშუალობით იშოვნა კარგი ალაგი, თავის ცოლის შერთვა, განცხრომით ცხოვრება და მერმე, ერთს დღეს, რა ნაირად გაუსხლტა ყოველივე ეს ხელიდამ. Აქ მოკლედ ვუამბობ მკითხველს თვით ჩემი მეგობრის პირით ამ ამბავს.

### II

— ჩვენ როცა ერთმანეთს დავშორდით, დაიწყო თეოფილემ, როგორც იყო, ვიშოვნე ალაგი სამსახურში. Ეს ალაგი დაბალი და ცოტა ჯამაგირიანი იყო. Ამას არ შევუშინდი—ბეჯითად და სინიდისიანად მოვკიდე ხელი სამსახურს და იმედი მქონდა წინ-წავიდოდი; მაგრამ იმედი გამიცრუვდა: დრო მიდიოდა, და მე-კი ერთს ალაგს ვიყავი. Უფროსები ჩემს ერთგულებას ყურადღებას არ აქცევდენ; თითქოს კიდეც დასცინოდენ ჩემს დაუღალავ შრომას. Ვიფიქრე—ეს რა უბედურებაა-მეთქი! Დავუკვირდი საქმეს კარგად, და აღმოჩნდა—სამსახურში წინ-წასვლისთვის შრომა-კი არ ყოფილა საჭირო, არამედ სხვა-და-სხვა უკუღმართობა...

ხალხს ხელს მისცემს თუ არა,—რა მოგასხენოთ. ესეც ერთი ნაყოფი ერევნის მოედანზედ, შუა-ქალაქში, ბაზრის გაუქმებისა.

ამას წინად ჩვენში მოგზაურობდა უფროსი საპოსტო-ტელეგრაფო სამმართველოს გამგე, გ. გალკინ-ვრასკი, რომელიც კავკასიის საპოსტო-ტელეგრაფო სამმართველოს დასათვალიერებლად მოვიდა. ეხლა ეს თანამდებობის პირი პეტერბურგში მისულა და მალე თავის დათვალიერების ნაყოფს წარუდგენს გამგეობას.

„თბილისის განცხადებებში“ სწერია, რომ შულავერში და ცხინვალში ტელეგრაფის სტანციების გახსნის საქმე უკვე წარუდგინა ფოსტისა და ტელეგრაფის გამგეობასაო.

## «დროების» კორესპონდენციები

—

სოფ. საწულუკიძეო, ივლისის 15-ს. სოფელი საწულუკიძეო დ. ხონიდამ 2-3 ვერსის მანძილზედ მდებარეობს. აქ ივლისის 15, დღესასწაულობენ წმინდა კვირიკეს დღეობას. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც მივაღწიე იმ ადგილს სადაც ხალხი იკრიბება. ბევრ დროს არ გაუვლია მისვლის შემდეგ, რომ საჯარო მინდორი სრულიად გაჯარიანდა. «დამები» უცხო ტუალეტებით მორთულნი და «კავალრები» (ზოგი მათგანი უცხო ხელთ-ნაქნარ იარაღეულობაში ჩამსხდარნი), სტკეპნიდენ ხავერდის ფრად ამწვანებულს მინდორს. მეგონა იქ არ ვიმყოფებოდი, სადაც ვიყავ; წარმოვიდგინე ვითომ უცხო ქვეყნის ნიადაგზედ მებჯინა ფეხი... მაგრამ განუსაზღვრელი იყო შვება, როცა ერთის მხრიდამ «ნადური»-ს (სიმღერა) ხმა მოისმა. იმ ხმამ ანდამატსავით მიიზიდა ჩემი გრძნობაც და გულიც. დავეშურე კიდეც იმ მხრისაკენ. «ნადურის» ხმამ სხვებიც მიიწვია. მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, რომ ამ სიამოვნებას ხანი არ მიეცა და მალე დაიძახეს «ლეკური, ლეკურიო». უფრო დაბეჯითებით და «დიდ-კაცურის» კილოთი ბრძანა ერთმა; დაჰკრეს ტაში. წინ წამოიჭრა ვიღაც გოგონა, რომელსაც დაირის მაგიერ ხელთ «გარმონია» ეჭირა და ასტეხა თუ არა «ჭიჭყი-ჭიჭყი», დატრიალდენ «დამა-კავალერი», ხალხი ერთბაშად მოაწყდა აქა. შემომწკრივდენ «მადამ-მადმოაზელები» თავიანთ დიდგულა «კავალერებით». «ზაიილის ცოტა ხანიც და თქვენს მონას აქ დგომის პირი არ ექმნება-მეთქი, ვამბობდი გულში და მართალიც შეიქმნა. მალე შეიკაზმა უცხო ფრაზები:» «вѣдъ я... Катюша»... «пардонъ», „дура“!. „невѣжа“ და სხვ.

უეცრად ხანჯლების ტრიალი ასტყდა. «ჰკა მაგას! ნუ გაუშვებ ცოცხალს!» ზაიძახიან ერთის მხრით. ეს «შექცევის» მოედანი ახლა-კი ბრძოლის ველად შეიქმნა და უსიამოვნო სურათს ბოლო არ ელებოდა. მაგრამ თითქო ზეცაც სწუხს ხალხის ამ უსაქციელობასაო და გაიელვა ცის კიდეში, ქუხილიც მოისმა. შავი ღრუბლები კამარად გადმოაწვნენ დედა-მიწასა; მზეც გამოსალმების გორას მოეფარა; გადმოიშალა შავი ზეწარი და მიმალა თვალიდამ ეს უზნეო და სამარცხვინო საქციელი ერისა

ჩხუბი, დავი-დარაბა---ქართული დარბაისლობის მაგიერ!—ღირს-კი ამისთვის ჩვენს «დღეობებზედ» დასწრება!

ალ. იმერელი.

ფოთი, ივლისის 21-ს. ამ თვის 7-ს ჩვენ გვესტუმრა რუსის საზოგადოების ნაოსნობის და ვაჭრობის დირექტორი ბ. ფონდერფელიტი, რომელმაც შემდეგ სხვა-და-სხვა საქმეების განხილვისა, დიდი იმედი მოგვცა ფოთელებს ფოთის გაუმჯობესობაზედ და ვნახოთ შემდეგისათვის რას მოგვიტანს იმის დაპირება. ხსენებული პირის მოსვლის მიზეზი ის იყო, რომ რადგანაც ბათუმის ნავთ-მისადგომი, რომელიც ხსენებულ საზოგადოებას უჭირავს, ეხლა მმართებლობისათვის საჭიროა, მათ უბძანეს სხვაგან გადატანა საწყობებისა. ეხლა ესენი სთხოვენ ქუთაისის გუბერნატორს სხვა ალაგის დაჭერის ნებას ბათუმში. ჯერ არ ვიცით რა მიიღო პასუხად.

ფოთის საუბედუროდ დირექტორს ის პირი ახლდა, რომელსაც ფოთის სიკეთე არ უნდა ე. ი. ბათუმის აგენტი, რომელიც წინადაც იყო ფოთში ამავე ხელობაში და დიდი ზარალი მოუტანა ჩვენს ქალაქს და, როგორც ვატყობთ, არც ეხლა მოსულა სახეიროდ.—მოკლედ უნდა ვსთქვათ რომ ჩვენ ფოთელებს იღბალი არა გვაქვს და უიღბლობა-კი ჩვენი ბრალია, რადგანაც არა გვყავს არავინ, რომ ნამდვილი მშრომელი იყოს, ქალაქზედ ცოტა გული ეწოდეს და საქმე რიგიანად წაიყვანოს.

ერთი წელიწადი გავიდა მას აქეთ რაც ქალაქის რჩევამ გარდასწყვიტა, რომ ცეცხლის საქრობი იარაღები დაიბარონ და ჯერაც არ შეუსრულებიათ; მიზეზი ამისი არის ქალაქის მმართველების უთანხმოება: ერთი რომ იძახის ლონდონიდამ დავიბაროთ, იაფად დაჯდებაო, მეორე ამბობს ოდესიდამა სჯობსო და ჯერ-კი არსაიდამა სჩანს; ცეცხლი რომ გაჩნდეს არაფერი საშუალება არა გვაქვს გასაქრობლად. ამისთანა უბრალო რასმეს, რომ დროზედ ვერ ასრულებენ, უფრო დიდ საქმეს როგორ შეასრულებენ.

ამ მოკლე ხანში აქ გადმოიყვანეს ბ. იუნოშა პოლიცმეისტრის თანაშემწედ, რომელიც დიდის ყურადღებით ასრულებს თავის მოვალეობას. იმის აქ გადმოყვანა ქალაქს შეეტყო. კვირაში სამჯერ-ოთხჯერ ყველა ეზოებს უვლის და ასუფთავებინებს; დილით რამოდენიმე გამოჩენილ ქუჩებს არწყვეინებს თვით მცხოვრებლებს, რომ მტვერი არ დადგეს; ღამე ყარაულებს ათვალიერებს, თუ როგორ ასრულებენ უკანასკნელნი თავიანთ მოვალეობას; ამისთანა სისუფთავე ფოთს ჯერ არ მოსწრებია.—გარდა ამისა ფოთის საზოგადოება დიდ ფულს იხდის მუსიკაში მაგრამ ეს ზაფხული ისრე მიდის, რომ ფოთელებს მუსიკის ხმაც არ გაუგონიათ; მგონია მუსიკა ზაფხულობრივ უნდა უკრავდეს ბაღში, როგორც სხვა ქალაქებშია, და აქ არც ზაფხულში უკრავს და არც ზამთარში.

ფოთის ვაჭრობაც ძალიან დაეცა და ვაჭრები დიდ საჩივარში არიან, მაგრამ ეს ახალი ამბავი არ არის.

ჩვენს ფოთში თან-და-თან მრავლდებიან ოდესელი ურიები, ესე რომ თუ ღმერთი შეეწია, ერთი წლის შემდეგ უფრო გამრავლდებიან...

## წერილი რედაქტორთან

—

არა ერთხელ თქმულა სიტყვიერად და გაზ. «დროებაშიაც» მოსამსახურეთა არა-სანატრელ მდგომარეობაზედ, სასტუმროს და ტრახტირების

---

მასუკან ჩემი ბედი ამ უკულმართობის წყალობით სხვაფრივ დატრიალდა. ამ დროს ბევრი დედები ცდილობდენ მახე დაეგოთ ჩემთვის; ჩემისთანა სასიძო ქალაქში არ მოიპოვებოდა. ცოლის თხოვაში-კი სინიდისიანობა გამოვიჩინე. თუმცა შემეძლო მაღალი და მდიდარი ოჯახის ქალის შერთვა, მაგრამ მე ვამჯობინე ყველას ჩემი უმანკო და პატიოსნებით სავსე ნინო. ნინო იყო ღარიბი ოჯახის ქალი. მასწავლებლად იყო საქალო სკოლაში და თავის შრომით თავსაც ირჩენდა და ძმასაც ზრდიდა. საუცხოვო რამ იყო ნინო: მშვენიერი, როგორც დილის ცისკარი; უმანკო, როგორც მტრედი; მასთანვე შრომის-მოყვარე, ენა-წყლიანი და ნარნარი.

აქ ჩემს მეგობარს ცრემლები მოერია და შეჩერდა. დიდხანს იყო ჩუმად.

III

— შევირთე ნინო, განაგრძო თეოფილემ, და დაიწყო ჩემი სიტკბოებით ცხოვრება. მას ნამდვილი სიყვარულით ვუყვარდი. ყოველივე ჩემი ცუდი რამ, ან ჩემზე ცუდის გაგონება აღელვებდა ნინოს, და როგორც ერთგული ცოლი, ყოველთვის და ყველგან ჩემი მოსარჩლე იყო. უნდა გითხრა—მე არავის ვუყვარდი. ყველანი ეჭვიანი თვალით მიცქეროდენ, ყველანი მერიდებოდენ, თუმცა გარეგნობით-კი პატივსა-მცემდენ. ყველას შეტყობილი ჰქონდა, რომ მე ჯაშუში ვიყავი...

ნინოს პირველი პატიოსანი კაცი ვეგონე; მაგრამ იმანაც მალე შეიტყო—რაც ვაჟ-ბატონი გახლდით. მაშინ-კი გამიწყრა ღმერთი! ცოლი ნელ-ნელა გაგრილდა ჩემზე. მისი ზნეობრივი არსება ვერ მოთავსდა ჩემს ბილწს ხასიათთან. ერთს დღეს, სამსახურიდამ რომ დავბრუნდი, ნინო სახლში არ დამხვდა. მოახლემ მომცა მისი წერილი. როცა წერილი წავიკითხე, ფეხები მომეკვეთა, თავბრუ დამესხა და სიმწარის ოფლმა დამჰკრა. ჯაშუშთან ცხოვრება არ შემიძლიაო, მწერდა ნინო, მე ვიკარგები აქედამ შორსო, ჩემი შრომით უნდა ვიცხოვროვო, ჩემი სიყვარული შენდამი ზიზღად გადაიქცაო.

ამ დროს თეოფილეს მომაკვდავის ფერი დაედო, მძიმედ დაიწყო სუნთქვა და კიდევ შეჩერდა.

IV

— ერთიც ვნახოთ, მოჰყვა თეოფილე კიდევ, ამ ცეცხლში რომ ვარ, კარი გაიღო, და თავს დამადგა ჩემი უფროსის ლაქია. ლაქიამ მომცა წერილი. უფროსი საჩქაროდ მიხმობდა. რას ვიზამდი—ავდექი და ბარბაცით წაველი. როცა შეველი უფროსის კაბინეთში, უფროსი ჩვეულებრივ მხიარულად არ დამხვდრია. ასე გასინჯე—სკამზედაც არ მიმიწვია. ეს რაღა უბედურებაა მეთქი ჩემს თავზედ, წავიბუტბუტე დაბლა. ამ სიტყვებს ყური მოჰკრა უფროსმა და მრისხანებით მითხრა:

— დიახ, უბედურებაა! დღესვე შემოიტანეთ დათხოვნის ქაღალდი. ხვალიდამ ჩემთან შენ ალაგი არა გაქვს. დიდხანს ხმა ვერ ამოვიღე, თვალთ დამიბნელდა. ბოლოს, როგორც იყო, მოვიკრიფე ძალ-ღონე და უფროსს მოვახსენე:

— მიზეზი რა გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ!

— თქვენი წყალობით ყველა ჩემი ხელ-ქვეითნი გადამემტერენ. საზოგადოებასაც შევძულდი შენი წყალობით და პატივი ამყარა.

— მე აქ რა შუაში ვარ, თქვენო აღმატებულებავ! კანკალით დავეკითხე.

— ჯაშუშის მფარველი და მოწყალე არისო, მისი დაბეზღებით და ცილის-წამებით ბევრს მოხელეს აზრკოლებს და სამსახურიდამ ითხოვსო, ბევრს პატიოსან კაცს ღუპავსო. ეხლა მე მინდა დავუმტკიცო ჩემს ხელქვეითთა და საზოგადოებას, რომ შენ ჩემთვის არაფერი ხარ. გესმის თუ არა? მრისხანებით დამიყვირა უფროსმა.

მე მინდოდა ცოტა რამ მეთქვა, მაგრამ ხმის ამოღების ნებაც არ მომცეს. იქვე დათხოვნის ქაღალდი დამაწერინეს, კარი მიჩვენეს და მომიხურეს. ასე, ჩემო მეგობარო! და ოხვრით დაასრულა თეოფილემ თავის თავ-გადასავალი.

X

მეც ამოვიოხრე. მეტად გული ამიდულა ამ მწარე ამბავმა. შემებრალა მეგობარი. ნუ გამკიცხავთ—ამისათვის ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: «ძმა ძმისთვისაო, შავ-დღისთვისაო.»

ალ. აკოფაშვილი.

ქ. ქუთაისი.

პატრონების უკანონო ქცევაზედ, მაგრამ მოსამსახურეთა ბედ-იღბალი ჯერ მაინც ვერაფერმა გააუმჯობესა. ლაპარაკობდენ რაღაც «საზოგადოების» შედგენაზედ, კანტორაზედ, წესდებაზედ და სხვა, მაგრამ საქმით კი არა სჩანს-რა. მიყრუებულია ეს საქმე და მოსამსახურეების ბედ-იღბალი კი ამ მიყრუების გამო უკან-უკან მიდის. Იქამდის მიაღწია ზოგიერთა სასტუმროების (მეტადრე ბაღებში) პატრონების სინიდისმა, ანუ უკეთ ვსთქვათ უსინიდისობამ, რომ მოსამსახურეებს წინადადებას აძლევენ, თუ უჯამაგიროდ დადგები, აგიყვან და ჯამაგირით კი არაო. ამაზედ დამთანხმებელნი, რასაკვირველია, აღმოჩნდენ და ვისაც ჯამაგირი ჰქონდათ, ისინი კი დაითხოვეს. ამით გათამამებული სასტუმროს პატრონები იქამდის მივიდენ, რომ მოსამსახურეების ფულებით თანხა შეადგინეს და ვაჭრობენ. მაგალითად, მე ვიცი ერთი «ხაზეინი», რომელსაც ათი მოსამსახურე ჰყავდა და თითოს სამ-სამი თუმანი გირაო ჰქონდა შეტანილი..

ამას დაუმატეთ ის, რომ სადაც ჯამაგირებია დაწესებული, იქაც ვერ იღებენ: ზოგს ურიცხვენ სულ უბრალო რაჰეში და ზოგს კი უმიზეზოდ უჭერენ: «წადი და გვიჩივლეო». აბა როგორ იჩივლოს მოსამსახურემ, როგორ სდიოს სამი და ოთხი თვე სასამართლოებში. ან და რომ სდიოს, მანამ რა სჭამოს. Დამეთანხმებით, ამისი ბრალი უნდა იყოს, რომ «პოლიციის ბიულეტენში» ხშირად ვკითხულობთ: «ამა და ამ სოფლის მცხოვრებმა ამა და ამ მოქალაქეს ესა და ეს მოჰპარაო»; თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ამ მიზეზებით მომეტებული ნაწილი მოსამსახურეთა დაჩაგრულია და უარესსაც უნდა მოველოდეთ, თუ ყური არავინ გაიბერტყა.

ერთი მოსამსახურეთაგანი.

## რუსეთი

რუსულ გაზეთებში გამოცხადებულია ვრცელი საზოგადო წესდება რუსეთის რკინის-გზებისათვის. Ეს წესდება შემუშავებულია გრაფის ბარანოვის კომისიისაგან და ამ ჟამად საყოველთაოდ მიღებული. «წესდება» რამდენადმე სპობს იმ ბოროტ-მოქმედებათა, რომელნიც აქამდის შეეძლოთ სხვა-და-სხვა რკინის-გზის გამგეობათ. მაგალითად; რკინის-გზა პასუხის მგებელია, თუ მისმა ექსპლოატაციამ რაიმე ზარალი მისცა კერძო პირთ, ანუ მათ ქონებათ და სხვა-და-სხვა ხრიკებით არ შეუძლიანთ რკინის-გზებმა აიცილონ ეს პასუხის-გება. Გამგეობას არა აქვს უფლება თავის-ნებით დანიშნოს ან შესცვალოს ფასები ბილეთებისა და საქონლის გადატანისა; ამას გარდა, აქამდის მუშებს ხშირად დიდი ხანი უნდა ეცადნათ სტანციებზე, ვიდრე მათი ჯერი მოვიდოდა და ეხლა კი გამგეობა ვალდებულია, მაშინვე გადასდვას მათთვის ვაგონები.

—

Იმ სასპატიმროების წესდებაში, რომლებშიაც სამხედრო პირნი არიან ხოლმე დატუსაღებულნი, ზოგიერთი ცვლილება მოუხდენიათ. მაგ.: აქამდის ტუსაღებს სატუსაღო ტანისამოსი ეცვათ, ამას იქით თავიანთ ფორმის ტანისამოსი ეცმევათ; აქამდის ხორცს ცოტას აჭმევდენ, ამას იქით ყოველ-დღე ხორცი ექნებათ, გარდა მარხვის დღისა. ამას გარდა ასწავლიან სიარულს, გიმნასტიკას, წერა-კითხვას. მაგრამ ტუსაღები უწინდებულსავით თითო-თითოდ იქნებიან გამომწყვდეულნი და ლაპარაკი აღკრძალული ექნებათ...

—

Პეტრეს სამეურნეო და სატყეო აკადემია, რომელშიაც ბევრნი ჩვენებურნიც სწავლობენ ხოლმე, აცხადებს, რომ წელს პირველ კურსზედ სამეურნეო განყოფილებაში მხოლოდ 80 კაცი მიიღება და სატყეო განყოფილებაში კი არც ერთი, რადგან ეს აკადემია უმაღლეს სამეურნეო აკადემიად უნდა გადაკეთდეს.

—

Ქალ. მაიაკიდამ სწერენ ერთს რუსულ გაზეთს: «ამ დღეებში მდინარე Დნესტრში მოცურავდა კუბო, რომელშიაც მიბმული იყო ფეხებ-მოჭრილი ადამიანის გვამი. Ერთმა გლეხმა ასე ახსნა ეს უცნაური მოვლენა: კუბოში ბიძა-ჩემია. Წრეულს მოკვდა ეგ და სოფლელებს მოსჩვენებოდათ, ვითომ სიკვდილის შემდეგაც სოფელში დაიარებოდაო. Დაეწყოთ ლაპარაკი, სანამ მკვდარი სოფელს თავს არ დაანებებს, წვიმა არ მოვაო და ათითერთმეტი გლეხი წასულა სასაფლაოზე, ამოუთხრიათ მიცვალებულის გვამი, ფეხები დაუჭრიათ, რომ სიარული აღარ შესძლებოდა, კუბოსთვის მიუბამთ და მდინარეში ჩაუგდიათო».

## ოსმალეთი

Ერთი სტამბოლელი გაზეთი ამბობს სპარსეთის მდგომარეობაზედ რუს-Ინგლისის უთანხმოების გამო: «სპარსეთი ჩაქუჩისა და გრდემლის შუა არის და Თეირანში ძალიან მოხარულნი იქნებიან, რომ ამ საგნის შესახებ რაიმე რჩევა მიიღონ თ. ბისმარკისაგან. ამის გამო სპარსეთის ელჩს მიანდვეს სთხოვოს რჩევა გერმანიის კანცლერს, თუ როგორ მოიქცეს სპარსეთი შემდეგში. ამით სპარსეთს უნდა გერმანიის გული მოიგოს».

Ერთი ნემეცური გაზეთი უმატებს: «ეს ამტკიცებს, რომ შორეულ ქვეყნებშიაც კი ძლიერია მნიშვნელობა გერმანიისა და მისის პირველის სახელმწიფო კაცისა».

—

Ხვანთქრის დიდ ვეზირს დიდხანს ულაპარაკნია ჰობარდ-ფაშასთან, იმ ადმირალთან, რომელიც Ინგლისელია, მაგრამ ოსმალოს სამსახურში კი და გამოუცხადებია, რომ საჭიროა Ინგლისისა და ოსმალეთის შორის კავშირი შეიკრასო. ამ კავშირის შეკვრა ეხლა უფრო ადვილია ვიდრე კვლავ როდისმეო».

—

Იტალიის ჩრდილოეთში გლეხ კაცების აღელვება მომხდარა. მთელი ბრბო გლეხ-კაცობისა თავს დასხმია თურმე აზნაურებისა და დიდი მამულის-პატრონების ქონებასა და გაუცარცვავს. Კორნაროში დაუჭერიათ რამდენიმე გლეხი, რომელნიც ერთს სასახლეს ცეცხლის წაკიდებას უპირობდენ, თურმე. Ჯარები გაუგზავნიათ.

—

Უკანასკნელ ხანს Ინგლისის გაზეთებს უფრო მშვიდობიანობის სურვილი დაეტყოთ, მაგრამ ნემეცური გაზეთები კიდევ ომზედ ლაპარაკობენ. «Კელნის გაზეთი» ამბობს, რომ ეხლანდელი მიჩუმება დიდის ქარიშხალის წინა-მორბედიაო. Ეხლანდელი მორიგების კილო რუსეთის მხრივ იმით აიხსნება, რომ ამ სახელმწიფოსა სურს დრო მოიგოს, რადგან ამ სიცხეებში დიდი ჯარების დაძვრა ყოვლად შეუძლებელიაო.

Მეორე გაზეთი, ვენისა, «Politische Correspondenz» ამბობს ინგლისის პოლიტიკაზედ, რომ სალისბიურის მშვიდობიანს კილოს არ უნდა ვერწმუნოთ, რადგან ინგლისსაცა სურს დრო მოიგოს და სამხედროდ განემზადოსო. Ავღანელები უფრო და უფრო კადნიერდებიან და იქნება მოწინაალმდეგის ფირპოსტებს თავს დაესხნენ კიდეც. Ამ ფორპოსტებს თუმცა ნაბძანები აქვთ მხოლოდ მოიგერიონ მტერი, მაგრამ მარტო ამას, ვგონებთ, ვერ დასჯერდენო. Ამ გაზეთის აზრით სალისბიურის ამისთანა ამბავი იამება კიდეც, რადგან საბაბს მისცემს ომის გამოცხადებისასა.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 23-ს.

ᲕᲘᲑᲝᲠᲒᲘ. დღეს, $2^1/_2$ საათზედ, შუადღის უკან აქ მობძანდენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, ნახეს მართლ-მადიდებელთა და შვედების ეკლესიები, რუსების გიმნაზია და მასუკან ვილმანფსანდში წაბძანდენ. ქალაქი მშვენივრად იყო მორთული. როდესაც მათნი იმპერატორებითი დიდებულებანი ნაპირზედ გამობძანდენ, ხალხის საზოგადოებამ რუსული და ფინური ჰიმნები იგალობა.

ივლისის 24-ს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გარეშე საქმეთა მინისტრი საზღვარს გარეთ წავიდა რამდენიმე ხნით.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრიც გავიდა აგრეთვე რამდენიმე ხნით პეტერბურგიდამ და ივლისის 22 სამინისტროს გამგეობა ჩააბარა თავის ამხანაგს ჟეშნიაკოვს.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. აქ დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ინგლისმა წინადადება მისცა ოსმალეთს ეგვიპტე დაიჭიროს და მტკიცედ დაუკავშიროს ინგლისს, რადგან ავღანის საზღვარზედ საქმის გადაწყვეტა ძნელდება.

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ. სენატმა მოიწონა გარდაწყვეტილება დეპუტატთა პალატისა, რომლის ძალითაც მადაგასკარზე საომარ მოქმედებისათვის 12 მილიონი ფრანკის კრედიტი უნდა გაეხსნას მთავრობას.

### ᲑᲘᲠᲟᲐ

პეტერბურგი ივლისის 23.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | — $23^3/_4$ $23^{15}/_{16}$ $23^{25}/_{22}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — $202^3/_4$ $203^1/_4$ $202^7/_8$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — $251^1/_8$ $251^3/_4$ $251^1/_4$ |
| პოლუიმპერიალები | — 8 მ. 32 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — 8 მ. 31 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — 1 მ. 33 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— | — $5^3/_4$ და $6^3/_4$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — | — 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — $97^3/_4$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — 97 მ. 62 კ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — | — $97^1/_4$ მ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — | — 97 მ. 37 კ. მყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. | — $95^1/_2$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც. — | — $95^3/_4$ მ. მყ. |
| მესამე გამოც. — | — $95^3/_4$ მ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — 218 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $212^1/_2$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — | — 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — | — 43 წ. 88 მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 89 მ. გამყ. |

## ცნობანი

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲨᲘ, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში

ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც საშუალებდამ ბარათი ექნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათთვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პურა რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ

ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 2½

მეორისა — — —1 გ. 2 კ.

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

პირველი ხარისხის —1 გ. 4½

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. 2½

**ჯავრის-მაძის პური:**

პირველის ხარის. ღვეზ.1 გ. 4½

მეორის ხარის. ღვეზ.1 გ. 3½

მესამისა — —1 გ. 3 კ

**ძროხის ხორცი:**

პირველის ხარისხისა—1 გ. 7 კ

მეორისა — — —1 გ. 6 კ.

სუკი— — — —1 გ. 14 კ

ცხვრის ხორცი— —1 გ. 8 კ

**ღორის ხორცი:**

პირველის ხარისხისა 1 გ.

მეორისა — —1 — გ.

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდამ ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით.

თბილისიდამ სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის 8 საათზედ 24 წამ. დილით.

# განცხადებანი

სექტემბრის პირველს

ამა წლისას,

## სამეურნეო სკოლაში,

გახსნილს ამ ორის წლის წინად სოფ. წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრაში, საგურამოს ველში, ახლად მიიღებიან ბაშვები ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ბაშვები უნდა იყვნენ არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თოთხმეტის წლისა. გამოცდა ყმაწვილებისა არ იქნება; ბაშვების დედ-მამანი არა გადასახადს არ გაიღებენ. შეგირდებს მიეცემათ უფასოდ სწავლისათვის საჭირო წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები. სასწავლო სკოლის კურსს შეადგენენ შემდეგი საგნები: ა) სალმრთო სჯული; ბ) რუსული და ქართული ენები; გ) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია; დ) მამულის შესწავლა, მოკლე გეოგრაფია კავკასიისა, რუსეთისა და მერმის სახემწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა; ე) ელემენტარული ზოოლოგია, ბოტანიკა და მინერალოგია; განსაკუთრებითი ყურადღება იქმნება მიქცეული კავკასიის მცენარეებზე და პროდუქტებზე; ვ) მამულის მოვლა, მიწის შემუშავება, ხეხილისა და ვაზის კეთება, ბოსტნეულობა; ტყის მოვლა; ფუტკრის გაშენება; პირუტყვის მოვლა; სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა და ტექნოლოგია; და ზ) საზოგადო მისახედლი ჰიგიენა და პირუტყვთ მკურნალობა; ხატვა, ხორით გალობა და სიმღერა. ზარდა ამისა სკოლის შეგირდები შეისწავლიან სახელოსნოში, გახსნილს ამ ორის თვის წინად, მჭედლობას და ზეინკალობას (სლესარობას); შემდეგში კი დურგლობას და ბოჩკის კეთებას. დედ-მამათ ანუ პატრონებმა უნდა წარადგინონ ბაშვები პირველს სექტემბერს ს. წინამძღვრიანთ-კარში, საცა სკოლა წარმოებს.

მმართველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი.

(2—1)

სავაჭრო და საკომისიონეთო სახლი

## ვლადისლავ ვამშახისა

ვარშავაში „ნოვა სვეტის“ ქუჩაზედ № 55

მიიღებს შეკვეთილს საქმეს ყოველ-გვარ ვაჭრობისა და ალებ მიცემის შესახებ მთელის იმპერიიდამ. შეკვეთილს ასრულებს ძალიან ჩქარა და მარჯვედ. გასამსჯელოს ცოტას იღებს.

ვინც ისურვებს, საუკეთესო რეფერენციებს გაუგზავნიან. (6 1)

ისყიდება

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული

## ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეკზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება

(25—2)

ყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

## „თეატრი“

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ და-პირი თავის დანიშნულებისა, ესე იგი ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, „თეატრი“, თვალს ადევნებს კიდევ ჩვენს ლიტერატურასაც დრო გამოშვებით „თეატრ“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამა „თეატრისა“ შემდეგია:

ა. მოწინავე წერილები.
ბ. პიესებისა და წარმოდგენების რეცენზიები.
გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
დ. კორესპონდენციები და ყოველ გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდამ.
ე. გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით.
ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.
ზ. ფელეტონი: თეატრის შესახებ. სცენები, დრამატიული თხზულებანი, ლექსები, სამღერალი კუპლეტები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებანი და სხვ.
ჱ. ანეგდოტები, გამოცანები, რებუსები, შაირები და სხვ.
თ. ყოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენს ლიტერატურაში გამოჩენილი მოღვაწეთ «თეატრს» აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, **კვირაობით** ფასი «თეატრის»-სა: წლით როგორც ქალაქისა, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის **ხუთი** (5) მანეთი. ნახევარის წლით—**სამი** (3) მანეთი ცალკე ნომერი ღირს **სამი** შაური.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანავე 3 მანეთი, მაისში 1 მან. და მარიამობის თვეშიაც 1 მან. სხვა ვადით ხელის—მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში** „თეატრი“-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**ქუთაისში**—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, редакція „Театръ“. Баронская улица, домъ Тамамшевой. № 16.**

ენკენისთვემდის, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: **Тифлисъ. Книжный Магазинъ Григорія Чарквіани.** წერილებიც ამ ადრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

(5—1) რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

## ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | | 1 მან. — კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მან | 20 | დირეშულს. |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 | — 50 | — |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 | — 80 | — |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 | — 20 | — |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 | — 50 | — |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 | — 80 | — |
| ;, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 | — ,, | — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—27)

Доз ценз. Тифлисъ, 24 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.